# ბოდიში…

როგორც ცნობილია, თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა თავიანთი მეორე მატჩი ბელგიაში ქ. ლიეჟის “სტანდარტთან” წააგეს ანგარიშით 1:2.

გაზეთებში უკვე იყო გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ ბელგიელებმა ორივე ბურთი გაიტანეს უკანონოდ – თამაშგარე მდგომარეობიდან. ამის შესახებ წერდნენ უცხოეთის გაზეთებიც.

ცნობილი გახდა, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ “სტანდარტის” ხელმძღვანელობამ თბილისელ ფეხბურთელებს ბოდიში მოუხადა მსაჯის არაკვალიფიციური და, შეიძლება, არაობიექტური მსაჯობის გამოც. ასეთივე ბოდიშით მიმართეს დინამოელებს ბელგიის საფეხბურთო ფედერაციის ხელმძღვანელებმა.

24 ნოემბერი, 1959 წ.